მცირე საწარმოთა მენეჯმენტის პრობლემები და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა

გულიკო ბახუაშვილი

მარიამ ქაჯაია

თამუნა ხაჯიშვილი

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: ვახტანგ ბერიშვილი, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, (2018)

განაცხადი

„ როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

აბსტრაქტი

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე საწარმოები, მათ საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამუშაო ადგილების შექმნას, დასაქმების ზრდას, ექსპორტს, ინოვაციებსა და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

მცირე მეწარმეობის განვითარება გამოიწვევს ქვეყანაში შიდა კონკურენციის ზრდასა და სამომხმარებლო ბაზრის შევსებას ადგილობრივი პროდუქციით. რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება დასაქმებული მცირე საწარმოებში, მით მეტად გაიზრდება მოსახლეობის შემოსავლები და შიდა მოხმარება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ეკონომიკური რეფორმების გატარება მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მთავრობა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს მცირე ბიზნესის განვითარებას და ასტიმულირებს მას სხვადასხვა გზებით, ამიტომაც ასეთ ქვეყნებში მცირე ბიზნესი მაღალი ტემპებით ვითარდება.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა. მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირება, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება და სხვა.

თემის აქტუალურობის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ უფრო სიღრმისეულად შეგვესწავლა მცირე საწარმოთა მენეჯმენტის პრობლემები და ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები.

ჩვენ მიერ მოძიებული ქართული და უცხოური ლიტერატურის გაცნობისას გამოიკვეთა არაერთი პრობლემა, მათ შორის: სახელმწიფო ხელშეწყობის, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის, ადამიანური რესურსების პრობლემა, სუსტი მარკეტინგი, მაღალი საპროცენტო განაკვეთები, რთული სამართლებრივი პროცედურები და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ შეგვესწავლა მცირე საწარმოთა სექტორი საქართველოში, აღმოგვეჩინა ადგილობრივი პრობლემები და ტენდენციები. კვლევის პროცესში გამოიკვეთა ორი ძირითადი პრობლემა:

1. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;
2. სამეწარმეო სექტორის არასაკმარისი კვალიფიკაცია ბიზნეს განათლების კუთხით.

კვლევამ გვაჩვენა რომ, ბიზნეს სექტორები დაყოფილია სხვადასხვა სეგმენტად და მათი წახალისება ხდება არაერთგვაროვნად. ამას მოწმობს ჩვენ მიერ მოძიებული მეწარმეთა ხელშმწყობი პროგრამები, რომლებიც, ძირითადად, მიმართულია სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ, ხოლო სხვა დარგების დამხმარე პროგრამების რაოდენობა შედარებით მცირეა.